საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 555 2019 წლის 15 მარტი ქ. თბილისი

„ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების განსახორციელებლად გამოსაყოფი თანხის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2576 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების განსახორციელებლად გამოსაყოფი თანხის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2576 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე, ამავე დადგენილებით გათვალისწინებული პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების

განსახორციელებლად, 2019 წლის განმავლობაში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყოს არა უმეტეს 270 000 000 (ორას სამოცდაათი მილიონი) ლარისა.

2. საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე 55 000 000 (ორმოცდათხუთმეტი მილიონი) ლარით გაზარდოს „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი.“.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**